ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2046593

ნომერი: AR1328171

თარიღი : 20.07.2015

გაცემის თარიღი : 03.08.2015

გაცნობის თარიღი : 04.08.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 99 , მიმდებარედ ნაკვეთი 13/139/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 99 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამაზ ბაკაშვილი პ/ნ 35001013748
- შავი ზღვის ქუჩა 13 ბინა 2

ორგანიზაცია:
- შპს ბაკაშვილი და პარტნიორები კოდი: 202211230

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1328171 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოსაწყობათ სერვიტუტის დატვირთვასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებული (სერვიტუტით დასატვირთი) ტერიტორია წარმოადგენს დაურეგისტრირებელ საერთო სარგებლობის სივრცეს, გამომდინარე აქედან, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დატვირთოს აღნიშნული დაურეგისტრირებელი სივრცე სერვიტუტით.

იურიდიული მისასვლელი გზის უზრუნველსაყოფად საჭიროა არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ის სატრანსპორტო ზონა 1 -ით რომელიც საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, შესაბამისად თქვენს მიერ შესაბამისი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში საკითხს განიხილავს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო" აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა, ელექტრონული განცხდება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა).

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.